


Date Printed: 04/20/2009

---

JTS Box Number: IFES\_63  
Tab Number: 119  
Document Title: Parliamentary Election in 1999:  
Information Booklet for Internally  
Document Date: 1999  
Document Country: Georgia  
Document Language: Georgian  
IFES ID: CE00699



\* 8 E 8 8 1 4 5 2 - 6 C 6 D - 4 F 6 7 - B C 8 6 - F 3 2 2 7 F C 9 E 1 F E \*

ამის შემდეგ მოგცემენ 1 (ერთ) საარჩევნო ბიულეტენს. იგი განკუთვნილია პოლიტიკური პარტიის/ბლოკის ასარჩევად.

ბიულეტენის მიღების შემდეგ, თქვენ უნდა დაამონებინოთ იგი. ბიულეტენზე კომისიის ორმა წევრმა ხელი უნდა მოანეროს და მასზე საარჩევნო კომისიის ბეჭედი უნდა დაისვას. "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ხმის მიცემის პროცესი ფარულია და ამისათვის საარჩევნო უბანში იზოლირებული კაბინები ან ოთახები უნდა არსებობდეს. არჩევანის საიდუმლოების დარღვევა აკრძალულია კანონით.

კაბინაში შესვლისას დააფიქსირეთ არჩევანი და ბიულეტენი შუაზე გაკეცეთ. საარჩევნო კაბინიდან გამოსვლისას ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ჩაუშვით.

### **თუ მოგივიდათ შეცდომა**

თუ არჩევანის დაფიქსირებისას მოგივიდათ შეცდომა, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ბიულეტენის შეცვლა. ამისათვის მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ძველ ბიულეტენს მოახვევენ კუთხეს და გადადებენ, ხოლო თქვენ მოგცემენ ახალ ბიულეტენს.

### **თუ დაგჭირდათ დახმარება**

თუ ბიულეტენში თქვენი არჩევანის დასაფიქსირებლად გესაჭიროებათ დახმარება, შეგიძლიათ მოიხმოთ დამხმარე პირი. თქვენი დამხმარე არ უნდა იყოს საარჩევნო კომისიის წევრი; დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენელი; პოლიტიკური პარტიის ნდობით აღჭურვილი პირი ან არჩევნებზე დამკვირვებელი.

# 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები



საინფორმაციო  
ბიულეტენი იძულებით  
გადაადგილებულ  
პირთათვის

**აჩივანი შენზეა!!!**

**აჩივანი  
შენზეა!!!**



საპარლამენტო ადმინისტრაციის საარჩევნო კომისია



